ცნობის ფურცელი

№ 2043 შაბათი, 18 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2043

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (სამხედრო ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе", ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**" მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს „**მოამბე**"-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".

მასაჟის კურსები

გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და **გიმნასტიკა ავადმყოფობისა,** (ტეხნიკა-ჩვენებანი) და **საზოგადო პათოლოგია:** დ—რი სობოლევსკი. **ანატომია,** დ—რი ა. გ. მალალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—3)

წარმოდგენა მე-31. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 19 იანვარს, 1903 წელს

✿ ხვალ საღამოს იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✿

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ **დაკლებულის ფასებით** ◆

I

ორი გმირი

ისტ. დრამა 3 მოქ. გურულების ცხოვრებიდან

II

გაცრუებული იმედები

კომედია 2 მოქმ. აზიანისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ანანიაშვილი, რომანიშვილი, ელენტი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „**მეფხვნიას თინები**" (ნ. გაბ.-ცაგარლის საბენეფისოდ). „**ჩამქრალი ხიდი**", „**ნორა**" „**დანგრეული ქორა**", „**ხიდე ხიმაგრი**".

რეჟისორი **ვალ. გუნია**

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ოლღინსკის ქუჩა, 38. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. ზ. ჯაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და საშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამზარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. ჯაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროვატები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

ჭიათურელთა კრება

III

საბჭოს გასულ წელს სამოცი სხდომა ჰქონია. ბ. ემერიკი (საბჭოს წევრია) დასწრებია მხოლოდ თექვსმეტ სხდომას, იმდენად შესტკიოდა გული საზოგადო საქმისათვის. როცა მარგანეცის მრეწველთა კრებაზე საბჭოს წევრებს ირჩევდნენ, ბ. ემერიკი ყველას ემუდარებოდა თურმე—წევრად ამირჩიეთო, მაგრამ რადგან დიდი იმედი ჰქონია, რომ აირჩევდნენ, თავის ყუთში თავისი თერთმეტი კენჭი ჩაუყრია. მგონი, საკმარისია ბ. ემერიკის პიროვნების, როგორც საზოგადო მოღვაწის, დასახასიათებლად. ასეთი კაცი ისე ენას არ მოაბრუნებს, რომ ზნეობაზე და საზოგადო ინტერესზე არ ლაპარაკობდეს და ჩვენი დემოკრატები მას ტაშს უკრავენ!

არ შემიძლია ერთი ინციდენტის გამო რამდენიმე სიტყვა არ ვსთქვა: კორესპონდენტებისათვის მხოლოდ ერთი ლოჟაა და ამიტომ დიდი სივიწროვეა. კაცი გავუგზავნეთ კრების თავმჯდომარეს ერთი ლოჟა კიდევ მოეცა ჩვენთვის. ბ. ცეიტლინს უკმეხად ეთქვა გაგზავნილ კაცისათვის—თუ არ ეტევიან ერთ ლოჟაში, წაბრძანდნენო, ჩემთვის ისინი საჭირო არ არიანო. პასუხი მეტად უზრდელი და ცეიტლინის პიროვნების დამახასიათებელია, მაგრამ ნაკლების „ზრდილობით" არც „კავკაზ"-ის კორესპონდენტი მოქცეულა: ჩვენს პატარა კოწიას, ალბად, ახსოვს დიდი ნიკოს „ძველი გმირული ბრძოლა" პრესის შემავიწროებლებთან და ძმის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევენ მას—წამოხტა, გადახტა სცენასე, მივარდა თავმჯდომარეს და ნიკოსებურის გაბედულებით მიაძახა—პრესის თუ გეშინიათ, ბევრი ცოდვები გქონიათო და სხვა. კორესპონდენტის ასეთმა ქცევამ მეტად ააღელვა საზოგადოება და კოლეგებიც.

პრესის წარმომადგენელი ისეთ კრებებზე, როგორიც მარგანეცის მრეწველთა კრებაა, უთუოდ ნეიტრალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მოქმედებით; აზრის, სიმპატია-ანტიპატიის გამოთქმა მას მხოლოდ მწერლობის გზით შეუძლია. ამიტომ „კავკაზ"-ის კორესპონდენტის მოქმედება დასაგმობი იყო და დაჰგმეს კიდეც.

ზოგს ეს არ მოეწონა; არ მოეწონა სხვათა შორის ოპოზიციის ერთ „ორატორთაგანს"—ბ. იოსებ კაკაბაძეს; ამას ჰგონია, რომ კოწია ნიკოლაძის მოქმედების წინაალმდეგ პროტესტის გამოცხადება პრესის თავისუფლების შეკვეცაა. მაგრამ, კიტა აბაშიძის არ იყოს, ასეთის მაღალ-მაღალ ფრაზებით კაკაბაძისთანებს თუ მოატყუებენ. მიკვირს, ნუ თუ ასეთ უსუსურ ბავშვების მეტი ორატორი ვერ წამოაყენეს ჩვენმა „დემოკრატებმა"!

მეორე უებრო და უშიშარი რაინდი ოპოზიციისა ექიმი პარმენ ჭიჭინაძეა. იშვიათად მინახავს ასეთი „ვიწრო-შუბლიანობა", თუ შეიძლება ეგრე ითქვას ქართულად. ბ. ჭიჭინაძე ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი და ოპოზიციის უწმინდესი დანიშნულებაა ზდანოვიჩის წინაალმდეგ ლაპარაკი, რა აზრსაც არ უნდა გამოთქვამდეს ეს ზდანოვიჩი. აი, ერთი სახელ-დახელო მაგალითიც: ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინო შეიქნა, რომ სარევიზიო კომისია მიდგომით და მეტად ურიგოდ იქცეოდა. თვით ემერიკიც იძულებული შეიქნა საჯაროდ დასთანხმებოდა ზდანოვიჩს, რომ სარევიზიო კომისია უწესოდ მოიქცა. მარტო ექიმი ჭიჭინაძე არ გატყდა და გაბედულად იცავდა სარევიზიო კომისიის არასაკადრის საქციელს—სარევიზიო კომისიას საყვედური არ ეთქმისო, რიხით ბრძანებდა ბ. ჭიჭინაძე. ემერიკს შერცხვა, ჭიჭინაძეს არა.

მეტად სამწუხარო მოვლენაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბ. ჭიჭინაძე მოქმედებს, როგორც ჯგუფის წარმომადგენელი.

ერთი წვრილი მრეწველი ეუბნებოდა ერთ ქუთათურ დემოკრატს—მესამე კრებაზე ჩვენ ინტერესებს იცავდით, ენაზე სულ წვრილი მრეწველი გეკერათ და ემერიკებს განადგურებას უპირობდით; დღეს რაღა მოგივიდათ, ემერიკს გვერდში ამოდგომიხართ და ჩვენ გვიპირებთ განადგურებასო. დემოკრატი ღრმა აზროვანად უპასუხებს—ეს უმაღლეს ტაქტიკის საიდუმლოება არის, შენ ვერ გაიგებო.

არა მგონია, რომ თვით დემოკრატმა იცოდეს ეს „საიდუმლოება", თუ იგი ზდანოვიჩის პიროვნება არ არის.

გარეში.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. როცა დეშანელმა პალატაში ჟორესის წინაალმდეგ ილაპარაკა, თითონ ჟორესი პალატაში არა ყოფილა: თავის ავადმყოფ დედასთან წასულა. ამიტომ იმის მაგიერ იმის მომხრეებს გაუციათ პასუხი დეშანელისათვის. დეშანელმა, სხვათა შორის, ჟორესის სიტყვები გაიხსენა: „სამთა კავშირი აუცილებლად საჭიროა საფრანგეთის შოვინიზმისა და ფრანგ-რუსთა ოცნებობის პასუხის გასაცემადაო". ამ სიტყვების გაგონების უმალვე, მარჯვენა პარტიამ დიდი დემონსტრაცია მოახდინა ჟორესის წინაალმდეგ, მაგრამ მარცხენა პარტია გამოესარჩლა თავის მეთაურს და სასტიკი პასუხი მისცა მარჯვენა პარტიას.

ჟორესის მეგობარმა, ჟერო რიშარმა დაუყვირა დეშანელს: „ჟორესის სიტყვები ნამდვილი პატრიოტული სიტყვებია. მთელის სიტყვიდან რომ ერთი ფრაზა ამოჰგლიჯოთ, როგორსაც გინდათ, ისეთ აზრს მიაწერთ" (მარცხენა პარტია ძლიერად უკრავს ტაშსა, მარჯვენა პარტია და მელინისტები პროტესტს აცხადებენ).

პრეზიდენტმა ბურჟუამ უთხრა დეშანელს: არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ ჩვენი ამხანაგი ჟორესი სამწუხარო მოვალეობისა გამო, პალატის სხდომას ვერ დაესწროო.

ჟერო რიშარი: „ამიტომაცაა, რომ იმის მაგიერ ვლაპარაკობ. ბ-ნმა დეშანელმა კარგად იცის, თუ როგორ ახსნა ჟორესმა ზემოხსენებული სიტყვები".

(მარცხენა პარტია ტაშს უკრავს. სოციალისტები უყვირიან დეშანელს: „იეზუიტ! იუდა! იუდა!»)

დეშანელი შეკრთა; მერე განმარტა: ჟორესზე არა ვლაპარაკობ, მე ჯარის მოწინაალმდეგის პროფესორ ჰერვეს სიტყვები გავახსენეთო. სოციალისტებმა კიდევ მიაძახეს: „იუდა!" როცა დეშანელმა ლაპარაკი დაასრულა, მარჯვენა პარტიას ნამდვილი ოვაცია გაუმართავს იმისათვის.

დეშანელს დეპუტატმა ეტურნელ დე კონსტანმა უპასუხა. ორატორი ამტკიცებდა: დეშანელის სიტყვა, სოციალისტებს გარდა, ბევრს სხვასაც არ მოეწონა. დეშანელმა, სამწუხაროდ, დიდი აზრები და წმინდა სიტყვა „სამშობლო“ ტყუილ-უბრალოდ ჩააკოსა თავის სიტყვაში, მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ სიტყვებით განხეთქილება გააძლიეროს დეპუტატებში. დეშანელი სასტიკ გაკიცხვის ღირსია ჟორესის სიტყვის დამახინჯებისათვის, არც ჟორესის განმარტება გაიხსენა. დიდი განსხვავებაა დეშანელის სიტყვებსა და რესპუბლიკელების აზრებ შუა.

მერე ეტურნელმა ბიუჯეტზე დაიწყო ლაპარაკი და სთქვა: ევროპის ყველა სახელმწიფოების დეფიციტის უმთავრესი მიზეზი —ჯარებია და ეგრედ წოდებული „შეიარაღებული მშვიდობიანობა“. ეს ყველამ იცის, მაგრამ ვერავინ ვერა ჰბედავს გულახდილად გამოსთქვას. მაგრამ უსათუოდ უნდა გავბედოთ და გამოვაცხადოთ ესა (მარცხენა პარტია იწონებს, მარჯვენა პროტესტს აცხადებს). „შეიარაღებულ მშვიდობიანობას“ სახელმწიფო შემოსავლის 54 პროცენტი სჭირდება. ამავ „შეიარაღებულ მშვიდობიანობის“ გამო, სახელმწიფო იძულებულია კოლონიურ პოლიტიკას მისდიოს. ორატორი არაა მტერი კოლონიურ პოლიტიკისა, თუ კი ეს პოლიტიკა ქვეყნების დაპყრობას არ მისდევს, მაგრამ ეს პოლიტიკა იძულებულ ჰყოფს საფრანგეთს კოლონიების დასაცველად ფლოტი გააძლიეროს. ინგლისისა და გერმანიის წინააღმდეგ რუსეთთან კავშირმა არ გაამართლა იმედი: ვერც საფრანგეთის გარეშე პოლიტიკის მიმართულება შესცვალა, ვერც შეიარაღება შეამცირა.

მერე ორატორმა პროტესტი გამოაცხადა მუდმივ ლოდინისა და სუჩუმის პოლიტიკის წინდაალმდეგ. ამნაირ პოლიტიკის წყალობით ინგლისმა ახალი უზარმაზარი სახელმწიფო დააარსა ქაირიდან კაპშტადტამდე და საფრანგეთი ფაშოდასთან დამარცხდა. საჭიროა მშვიდობიანი პოლიტიკა და ნაყოფიერი კეთილი შეთანხმება სახელმწიფოებს შუა. ასეთის პოლიტიკის გზა ჰააგის კონფერენციამ გვაჩვენა. შეიარაღებულ მშვიდობიანობის მძიმე ტვირთ-ქვეშ შეუძლებელია გონიერი საფინანსო, საზოგადო და საკოლონიო პოლიტიკა.

მარცხენა პარტიამ ძლიერის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი.

ინგლისი. ირლანდიელ დეპუტატების მეთაურმა ჯონ რედმონდმა, როგორც ვაცით, თანაგრძნობით ილაპარაკა დუბლინის საადგილ-მამულო კონფერენციაზე. ასევე ულაპარაკნია მეორე მეთაურს ვილიამ ო'ბრაიენსაც. მეთაურის სიტყვამ იმოქმედა ირლანდიელებზე და ეხლა ირლანდიის ხალხი უფრო მეტის სასოებით შესცქერის მომავალს, მაგრამ ირლანდიულ გაზეთების ერთი ნაწილი დღესაც ცუდი თვალით უყურებს საქმეს და კეთილს არას მოელის კონფერენციისაგან. ასე, გაზეთი „აირიშ დეილი ინდაპენდენტი“-ი ირწმუნება, კონფერენციამ აქამდე მარტო ზარალი მოიტანაო: ბევრს ადგილას მოლაპარაკება მამულების სყიდვის თაობაზე შესდგა, რადგან მამულის პატრონებმა გამოაცხადეს, მათ კონფერენციისაგან დადგენილ პირობით გავყიდით მამულსაო.

ახალი ამბავი

◆ **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ** 16 იანვარს დაადგინა: ქალაქის სამხედრო-საბეგრო საკრებულოს წევრი ი. ს. ბუღდანოვი სამართალში იქმნეს მიცემული „სასჯელთა დებულების“ მე 341 და მე 411 მუხლების ძალით, თანამდებობის დროს უკანონობის ჩადენისათვისაო. ქალაქის ხუროთმოძღვარი ა. მელიქ-ბეგლაროვიც პასუხის გებაში იქმნეს მიცემული, რადგან სახლის შენების დროს ისეთი საშუალება არ იხმარა, უბედურება არ მომხდარიყოო. ქალაქის ლომბარდში მწერლად მოსამსახურე ლაზარევის შესახებ საბჭოს დადგენილება დაირღვეს და ლაზარევი სამართალში იქმნეს მიცემული სამსახურის დროს სიყალბის ჩადენისათვისო.

◆ ბათუმიდან გაზეთ „ბაკ. იზვ.“-ს ატყობინებენ, რომ სანავთო ქუთების **ქარხანაში „ბნიტო“** მუშაობა, რომელიც დიდი ხანია შეწყვეტილი იყო, ისევ დაიწყო. ყველა ძველი მუშა გამოცხადდა, გარდა 300 კაცისა, რომელნიც სოფლად არიან და რომელთაც აგრეთვე მალე მოელიანო.

◆ 14 იანვარს ბათუმში გამართულს **ქართულ საღამოს** დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. საღამო გაიმართა კნ. ლ. ნ. ანდრონიკაშვილის დიასახლისობით „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

◆ ქალაქში **ჰიდრავლიურ სადგურის** გამგე კომისიის თავმჯდომარეს, ინჟენერ კირაკოსოვს, დაწვრილებით შეუსწავლია ამ სადგურის პროექტი, რომელიც ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ შეიმუშავა და ქალაქს წარუდგინა. პირობის ზოგიერთ მუხლების შეცვლა ინჟენერ კირაკოსოვს საჭიროდ დაუნახავს, მაგალითად, თითო კილოვატის ფასი განათებისა 2 კაპეიკით ნაკლები უნდა იქმნესო. „საზოგადოება“ თხოულობდა ტრამვაის კონცესიის ვადას კიდევ 14 წელიწადი და 10 თვე მოუმატოს და ამ ვადით ჰიდრავლიურ სადგურის მმართველობა ჩვენს ხელში იყოსო, მაგრამ ეს ვადა 10—წელიწადი საკმარისი იქმნებაო. ინჟენერ კირაკოსოვის გამოანგარიშებით საზოგადოდ ქალაქი ამ საქმიდან სულ 5 მილიონამდე სარგებლობას მიიღებსო.

მოხსენება იბეჭდება და მოკლე ხანში კომისიას მოხსენდება საბოლოოდ განსახილველად.

◆ გუშინ, 17 იანვარს, თავ. ვ. ს. მიქელაძის თავმჯდომარეობით დაამთავრეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის 105 **რწმუნებულის არჩევანი.** ამ დღეს აარჩიეს მესამე რიგის მსესხებელთა 35 რწმუნებული და 6 იმათი კანდიდატი. კრებას დაესწრო 17 მსესხებელი. არჩეულ იქმნენ:

თავ. დ. ზ. ცახცახიშვილი, დ. გ. გაგლოშვილი, ა. ი. ადამიძე, მ. გ. ბარნოვი, თავ. დ. ა. გურამიშვილი, ი. კ. დანილევსკი, პ. ი. ითარაშვილი, თ. კ. ისაკაძე, ა. ი. კობიაშვილი, ტ. ს. ქაქიძე, კ. ი. მესხიშვილი, ი. ი. მესხიშვილი, თავ. ი. გ. მელიქიშვილი, თავ. გ. გ. მაჟაშვილი, თავ. ა. დ. მაჟაშვილი, ა. ი. ნატროშვილი, ი. ე. ფურცელაძე, ბ. პაიჭაძე, ს. ს. ფერნაძე, გ. დ. რჩეულიშვილი, ი. პ. როსტომაშვილი, თავ. მ. ე. რუსიშვილი, პ. მ. სტროევი, ს. დ. სარაჯიშვილი, თავ. ი. გ. თარხანმოურავოვი, ა. მ. სარაჯიშვილი, ბ. ს. ესაძე, თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, თავ. ნ. ბ. ერისთავი, ა. ს. ჩივაძე, თავ. დ. დ. ჩერქეზიშვილი, ივ. ან. ცაგარელი, ი. გ. არდაზიანი, ზ. დ. ზედგინიძე, და მიხ. გ. ლუნკევიჩი. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ს. დ. კორინთელი, ი. ა. კუკუჯანოვი, გ. ა. კორუნჩიკი, ი ს. მანველოვი და ჯ. კ. რეგერი.

◆ **საქალაქო სასწავლებლის გამგე კომიტეტმა** გუშინ წინ დაადგინა: რადგან ბ-ნი ოჰანეზოვი დირექტორობის თანამდებობიდან კომიტეტმა გადააყენა, ამის მოადგილედ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დროებით ამ სასწავლებლის ერთ-ერთი მასწავლებელი აირჩიოსო; ბ-ნ ოჰანეზოვს გამოეცხადოს, ეხლავე დასცალოს სასწავლებელში სადგომი, რომელიც იმას დღეს უჭირავს, რადგან სასწავლებლის დირექტორად აღარ ირიცხებაო.

◆ 8 იანვარს ტფილისის სათავად-აზნაურო **ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა** იმ მამულების გასასყიდად, რომელიც ვერ გაიყიდა 21, 22, 24 და 26 დეკემბერს. გასასყიდი იყო 12 მამული; გაიყიდა 4. გაყიდულ მამულებზე სულ ვალი იყო 46,669 მან. და 98 კაპ.; გაიყიდა 54,194 მან. 50 კაპ. გაყიდულიდან 2 ქართველისა იყო, 1 რუსისა და 1 სომხისა.

◆ ორშაბათს სასოფლო-სამეურნეო სადგომში **სხდომა ექნებათ მოქალაქეთა რწმუნებულებს.** კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

◆ გუშინ-წინ **ექიმთა საზოგადოების კრება** იყო. ჯერ მოისმინეს იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც განიხილა „კავკასიაში ხოლერის შესახებ“ საპრემიოდ დაწერილი შრომა. ეს პრემია ექიმ ქეოხულოვის სახელობაზეა დაწესებული. წარმოდგენილი შრომა არ იპოვეს პრემიის ღირსად და დამწერს დაუბრუნეს შესასწორებლად.

მერე დიდი ბაასი გამოიწვია იმან, რომ ქალაქში სხვა-და-სხვა გადამდები სენი ვრცელდება, განსაკუთრებით ხუნაგი. ექიმები ცნობებს დროზე არ იძლევიან და სენის საწინააღმდეგო საშუალებაც დროზე არ იხმარება. ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად—დროზე შეიტყოს ხუნაგის ავადმყოფობა—ფურთხის გამოკვლევაა და ამიტომ საჭიროა ქალაქმა ისეთი სადგური დააარსოს, სადაც ამ ფურთხის კვლევა იქმნეს დაწესებული, რომ საეჭვო ავადმყოფის ფურთხით გამოიძიოს ექიმმა სინამდვილეო. კრებამ დაადგინა: ამ ჟამად ხუნაგი ძლიერ ვრცელდება და ამის საბრძოლველად საჭიროა ბაქტერიოლოგიური სადგური დაარსდეს, მანამდე-კი საჭიროა ქალაქმა დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ ხალხს: იმ შემთხვევაში, როცა საეჭვო ავადმყოფი იქმნება ღარიბ ოჯახში, ქალაქის ხარჯით ამ ავადმყოფის ფურთხი გამოკვლეული იქმნეს; ამას გარდა ხუნაგის საწინააღმდეგო სითხეც მუქთად მიეცეს ხალხს იმ შემთხვევაში, როცა ამის აცრას საჭიროდ დაინახავსო.

◆ სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მრეწველთა კრების საბჭოს სასტატისტიკო ბიურომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამოუგზავნა ვრცელი მოხსენება, მიღებული მრეწველთა უკანასკნელ კრების მიერ. მოხსენება შეეხება იმას, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსეთში მცხოვრებთათვის **სამეურნეო იარაღისა და მანქანების** მიწოდების საქმე. ბიურო სთხოვს საზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ, როგორია გაქვთ მოწყობილი მეურნეთათვის საჭირო იარაღებისა და სხვა მასალების მოწოდების საქმეო. ბიურო სწერს, ამ საქმის ყოველ მხრივ განხილვას დიდი მნიშვნელობა იქმნება გუბერნიების მცხოვრებთათვის, სადაც ერობა არ არის შემოღებულიო.

◆ კვირას, 19 იანვარს, ავლაბრის სცენის მოყვარეთა მიერ **ვლ. მესხიშვილის სასარგებლოდ** წარმოდგენილი იქმნება აკაკი წერეთლის კომედია „კინტო“ და ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“. დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ ს. ადგილების ფასი 90—10 კ.

◆ **ყრუ-მუნჯთა სკოლისათვის** ქალაქის სკოლათა გამგე კომისიას 30 თუმნის ერთდროული შემწეობა აღმოუჩენია. თუ ამ სკოლაში პანსიონი გაიმართება, კომისიას აღუთქვამს კიდევ ახალი შემწეობა.

◆ თებერვლის 10-ს ტფილისის ოლქის სასამართლო გაარჩევს მოიჯარადრის გლასოვის გაძარცვის საქმეს. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ გლასოვს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების კიბეზე შუა დღისას რამდენიმე კაცი თავს დაეცა და გაძარცვა. ამ საქმეში ბრალი ედებათ ტფილისის მცხოვრებთ მჭედლიშვილსა და იოსაშვილს, დანარჩენები პოლიციამ ვერ აღმოაჩინა.

◆ თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილს-ყარაბულახელს თავისს სოფელს ყარაბულახში ავად გახდომია ყელ ჭირებით ერთბაშად სამი შვილის-შვილი. სანამ ექიმს მიიყვანდნენ, ერთი ქალი გარდაცვლილა, დანარჩენები საჩქაროდ ტფილისს წამოუყვანიათ და აქ გადამდებ სენით ავადმყოფ ბავშვთათვის ქალაქის მიერ გამართულ საავადმყოფოში მიუბარებიათ. ბავშვები მორჩენილან. გუშინ თავ. ჩოლოყაშვილს-ყარაბულახელს ქალაქის მოურავის მოადგილისთვის მადლობა გამოუცხადებია ამ საავადმყოფოში ავადმყოფების კარგის მოვლისათვის, ათი თუმანი გადაუცია და უთხოვნია, თქვენის სურვილით კეთილ საქმეზე მოიხმარეთო. ქალაქის გამგეობას ეს ფული იმ თანხისათვის მიუმატნია, რომელიც უნდა მოხმარდეს მუშებისათვის ასაგებ საავადმყოფოს.

◆ გარდის უბნელები კიდევ სთხოვენ ქალაქის მოურავის მოადგილეს, დაუჩქარეთ წყნეთის ქუჩაზე ტრამვაით სიარული გამართოს, რადგან დიანდაგი დიდი ხანია მზად არისო.

◆ ხორცის ნიხრი კომისიამ შესცვალა: 1-ლ ხარისხის ხორც 1 კაპ. მოუმატა. ასე რომ გირვანქა ხორცი 12 კაპეიკში უნდა გაიყიდოს ახალის ნიხრით. ორშაბათს, 20 იანვარს, ნიხრი საბჭოს კრებას წარედგინება.

◆ პოლიციელებს ქალაქის ყველა ექიმთა ადრესები დაურიგდათ, თან უნდა ჰქონდეთ მუდამ და, როცა ვინმე შეეკითხება ექიმის ბინას, დაუყოვნებლივ უნდა მისცენ.

◆ ტფილისის მოქალაქეს ალექსანდრე ადამოვს გაუკეთებია კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის ყალბი ბეჭედი, ხოლო პენზის გუბერნიის მცხოვრებს ალიმპი ბოიკოვს ეკლესიის მღვდლის ბერიძის სახელით ყალბად შეუდგენია ორი მოწმობა მარიამ ივანოვისა და მარიამ სოკოლოვის გარდაცვალებაზე, შეუმოწმებიათ ყალბის ბეჭდით და წასულან პოლიციის მეცხრე ნაწილში ფულის შესაკრებად, ვითომდა ზემოდ დასახელებულთა დასასაფლავებლად. პოლიციელებს მალე გაუგიათ ეს ამბავი და 16 იანვარს ორივენი დაუპატიმრებიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგში მალე გაიხსნება საერთაშორისო გამოფენა ტელეფონისა და ტელეგრაფისა. გამოფენაზე იქმნება ყველა ახალი გამოგონება ტელეგრაფისა და ტელეფონის საქმეში.

◆ პეტერბურგში მალე გაიხსნება აღმოსავლეთ ენების სავაჭრო კურსები. კურსებზე ასწავლიან სპარსულს, ჩინურსა და ოსმალურ ენებს ყველა იმათ, ვინც მოწადინებულია სავაჭრო დამოკიდებულება იქონიოს აღმოსავლეთ ქვეყნებთან.

◆ მიწათ მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს გააუმჯობესოს საცდელ მინდვრების მდგომარეობა. განზრახულია თავდაპირველად საცდელ მინდვრებში სამუშაოდ უფრო მომზადებულნი მოხელენი იყოლიონ, რისთვისაც გააუმჯობესებენ მათ ნივთიერ მდგომარეობასა და ამასთანავე მეტ თავისუფლებას მისცემენ სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოკვლევათა მოწყობის საქმეში. საზოგადოდ სამინისტროს ჰსურს ისე მოაწყოს ამ მინდვრების საქმე, რომ მათ მეტი სარგებლობა აჩვენონ სოფლის მეურნეთ და ამასთანავე სამეცნიერო დაწესებულებადაც გამოდგნენ.

◆ ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, წელს გაიხსნება სახელმწიფო საგლეხო საადგილ მამულო ბანკის განყოფილება დონის ოლქსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

◆ პეტერბურგში ამ ცოტა ხანში გამოვა ყოველ დღიური გაზეთი ინგლისურ ენაზე. გაზეთს აზრად ექმნება სავაჭრო ინტერესის განვითარება ინგლისსა და რუსეთს შორის.

პრესსა

ფოთის ხაზინის გაძარცვამ, როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, დიდი ლაპარაკი გამოიწვია რუსულს გაზეთებში. ჩვენ კიდეც დავბეჭდეთ ზოგიერთების აზრი ჩვენში ავაზაკობის გაძლიერების შესახებ და აღვნიშნეთ ორი მიმართულება, რომელნიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ერთნი, როგორც მაშინაც ვამბობდით, სხვათა შორის, იმაზრს ადგანან, რომ კავკასიელთ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ბოროტ-მოქმედებისა და ავაზაკობისადმი მიდრეკილებაო. ცხადია ამ აზრის სიყალბე, და მის წინააღმდეგ ლაპარაკიც არა ღირს; მაგრამ მაინც საინტერესოა ამ აზრის დამარღვეველი ცნობები, რომელნიც „პეტერბ. ვედომ.“-ში მოჰყავს ბ. ნ. სიმონიჩს. ავტორს ბ. კოვალევის წიგნიდან („О родѣ и числѣ преступленій на Кавказѣ за 1891 годъ“) ამოუკრეფია საყურადღებო ცნობები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ კავკასია ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობის მიხედვით დაბლა სდგას რუსეთის შიდა-გუბერნიებზე.

1891 წელს კავკასიაში სულ გასამართლებული ყოფილა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის 2691 მამაკაცი და 181 დედაკაცი; ამათგან მართლმადიდებელი ყოფილა 1557 კაცი, სექტანტი—68, სხვა ქრისტიანი—185, ებრაელი—26, მაჰმადიანი 1024 და სხვანი. ამავე დროს შიდა რუსეთის რვა ოლქშივე მეტი რიცხვი ყოფილა გასამართლებული სხვა და სხვა გვარ ბოროტ მოქმედებისათვის. მაშინ როდესაც კავკასიაში ერთ მილიონ მცხოვრებზე ყოფილა 370 გასამართლებული, შიდა რუსეთის გუბერნიებში ამდენს მცხოვრებლებზევე ყოფილა 500-მდე გასამართლებული.

ამ რიგად ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობის მიხედვით კავკასია სულ არ ჩაითვლება „ავაზაკობის ქვეყნად“, როგორც გაიძახიან ზოგიერთი „პუბლიცისტები“. განსხვავება არსებობს ავაზაკობის ხასიათში. მაშინ როდესაც შიდა რუსეთში კაცის მკვლელობისათვის ერთ მილიონ მცხოვრებზე გასამართლებული ყოფილა 29 კაცი, კავკასიაში ამ ბოროტ მოქმედებისათვის გაუსამართლებიათ 85 კაცი; სამაგიეროდ, ქურდობისათვის რუსეთის შიდა გუბერნიებში დაუსჯიათ ერთ მილიონ მცხოვრებზე 149 კაცი, კავკასიაში-კი მხოლოდ 50; დანარჩენი ბოროტ მოქმედება თითქმის ერთგვარ ციფრებს იძლევა ჩვენშიაცა და რუსეთის შიდა გუბერნიებშიაც. შესანიშნავია ის გარემოება, რომ კაცის კვლა კავკასიაში მარტო ადგილობრივ მკვიდრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თვისებას“ კი არ შეადგენს, არამედ რუსნიც იმდენივე პროცენტი ყოფილა გასამართლებული ამ ბოროტებისთვის, რამდენიც მკვიდრნი. აქედან ავტორს სამართლიანად გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ჩვენში სხვა და სხვა სოციალური გარემოება ხელს უწყობს ამგვარ ბოროტების გავრცელებას. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიაში კიდევ აქვს ადგილი სისხლის აღებას და მცხოვრებთ, ნამეტურ მაჰმადიანთ, განსაკუთრებული აზრი აქვთ ღირსების დაცვაზე.

ყველა ამიდან ერთად-ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: კავკასიაში ისეთსავე ღონისძიებათ უნდა მიჰმართონ ბოროტმოქმედებათა შესამცირებლად, როგორც შიდა რუსეთში: სწავლა-განათლების გავრცელებასა და სოციალურ პირობათა გაუმჯობესებას.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 17 იანვარი. სამის დღის კამათის შემდეგ სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო, კრებამ, 111 ხმის უმრავლესობით 37 ხმის წინაამდეგ, დაადგინა დაამტკიცოს ფულის ანგარიში. შემდეგ კრებამ 93 ხმით 3 წინაამდეგ დაადგინა, სცნოს საბჭოს განმარტება სამართლიანად და გაჰკიცხოს სარევიზიო კომისია საბჭოს მოღვაწეობის წინაამდეგ განზრახ მოქმედებისათვის. მეორედ კენჭის ყრის დროს ოპოზიცია დარბაზიდან წავიდა.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

15 იანვარი

(გაგრძელება)*)

სხდომის განახლების შემდეგ ნ. გ. ჭიჭინაძემ განაცხადა, სასურველია მოვისმინოთ ეხლა საბჭოს განმარტება სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებაო. ბ-ნმა შუტცმა მოითხოვა, რომ ჯერ სარევიზიო კომისიის წევრის ბ-ნ გასფელდის მოხსენება იქნეს წაკითხულიო (გასფელდი ეხლა პეტერბურგშია).

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბ-ნ გასფელდს ერთი წელიწადია მონაწილეობა არ მიუღია სარევიზიო კომისიაში; ამიტომ იმის მოხსენებას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება; თვითონ გასფელდი კი ჩვენთვის იმდენად საინტერესო არაა, რომ იმისთვის ტყუილად დრო დავკარგოთ. ყოველ შემთხვევაში, კრებამ უნდა გადასწყვიტოს, ჰსურს თუ არა წაკითხულ იქმნეს ბ-ნ გასფელდის მოხსენება?

ხმები: „საჭირო არაა!“ „კარგად ვიცნობთ გასფელდს, რაც შვილია!“

ბ-ნი ცერგვაძე: სარევიზიო კომისია სამი წევრისაგან შესდგება; ბ-ნი გასფელდი კომისიის სხდომებს არ ესწრებოდა, იმის მაგივრად კომისიაში მიწვეული იყო საყვარელიძე; ამიტომ ბ-ნ გასფელდის მოხსენება, რა შინაარსისაც უნდა იყოს, ჩვენთვის საჭირო არაა.

ნ. გ. ჭიჭინაძე: როგორც კრების, ისე კერძოდ ბ-ნ ზდანოვიჩის ინტერესი მოითხოვს, რომ მოხსენება წაკითხულ იქმნეს.

ხმები: „სისულელეა, არაა საჭირო!“

გ. ფ. ზდანოვიჩი: ვიმეორებ, რომ უკანონო იქმნება ბ-ნ გასფელდის მოხსენების კითხვა, რადგან იმას კომისიის სხდომებში მონაწილეობა არ მიუღია.

გ. გ. ემერიკი: თუმცა შინაარსი არ ვიცი, მაგრამ მეც იმ აზრისა ვარ, რომ გასფელდის მოხსენების წაკითხვა საინტერესო არაა; ჩემის აზრით, ჩვენ იქ ვერაფერს ჰკვიანურს ვერა ვნახავთ. საჭიროა ვიცოდეთ, რა აზრისაა ბ-ნი თავმჯდომარე ამ მოხსენების შესახებ.

თავმჯდომარე: მეც იმ აზრისა ვარ, რომ შიგ არაფერი ჰკვიანური, გონივრული არაა; ამიტომ დროს დაკარგვად მიმაჩნია მისი წაკითხვა.

შემდეგ ბ-ნმა ზდანოვიჩმა ცალ-ცალკე გაარჩია კომისიის მოხსენების ყოველი მუხლი: „გაზეთებიდან შევიტყეთო—ასე იწყებს სარევიზიო კომისია თავის მოხსენებას.—თუმცა ბეჭდვითი სიტყვას დიდს პატივსა ვცემთ, მაგრამ კომისია მარტო გაზეთების ხმას არ უნდა დასჯერებოდა; თუ გაზეთების ხმას ემყარებოდა, მაშინ 20 ნოემბერს უნდა შეკრებილიყო; მაგრამ ესეც ტყუილია: კომისია შეკრიბა მიწათ მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნ მარკოვსკის მოწვევით, რომელმაც უკანონოდ მიითვისა თავმჯდომარის როლი,—რისთვისაც არ შემიძლიან დიდი საყვედური არ გამოვაცხადო. ბ-ნმა მარკოვსკიმ კომისია კი მოიწვია, მაგრამ თვითონ აღარ დაესწრო სხდომას. გამოცხადდნენ მხოლოდ ბ-ნნი შუტცი და ტურკიანი, რომელნიც იმ წამში მხოლოდ შუტცი და ტურკიანი იყვნენ, და არა სარევიზიო კომისიის წევრნი, რადგან თავმჯდომარე თან არ ახლდათ. მოხსენებაში ნათქვამია, საბჭოს თავმჯდომარემ არ მიგვიშვა სარევიზიოდაო. როდესაც ეს ორი წევრი გამოცხადდა და ვკითხე, სარევიზიოდ ვინ მოგიწვიათ-მეთქი, იმათ მიპასუხეს, სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნმა მარკოვსკიმაო. ამაზე ვუთხარი, რომ ბ-ნ მარკოვსკის არა ჰქონდა კომისიის შეკრების ნება, და ავუხსენი, რა უფლება ჰქონდა, რაც, თურმე, მანამდის არა სცოდნოდათ. ამან ძლიერ გააკვირვა ბ-ნი შუტცი. ყველამ კარგად იცის, რომ ჯერ ატყობინებენ დაწესებულებას, ამა და ამ დღეს რევიზია უნდა მოხდესო, და შემდეგ მიდიან სარევიზიოდ; ისიც ვიცით, რომ რევიზია ნოემბერში ჰხდება, ასე რომ—თვის ბოლომდე ანგარიშები გასწორებული უნდა იყოს; მაგრამ, რადგან ჩვენ არ ვიცოდით, რომ თვის დასაწყისში მოხდებოდა რევიზია, და არც არავის შეუტყობინებია, არ შეგვეძლო დათავებული ანგარიშები იმ წამში წარგვედგინა. ბ-ნმა შუტცმა, რა დაინახა, კანონით ვერას გახდებოდა, ისევ თხოვნას მიჰმართა, საზღვარ-გარედ მივდივარ და მერე სარევიზიოდ დრო აღარ მექნებაო. არ ვიცი, იქნება მართალს ამბობდა, თუმცა ფაქტები კი არ გვიმტკიცებენ ამას. მეც დავუჯერე და რევიზიის ნება მივეცი; არ მინდოდა, ვისმე ეჭვის თვალით შეეხედნა ჩვენთვის და ეთქვა, უთუოდ ცოდვებს ჰგრძნობენ და იმისთვის არ უნდათ რევიზიის მოხდენაო.

მოხსენების პირველ მუხლში ნათქვამია: საბჭოს კასის შავი დავთარი არა აქვს, რის გამო ანგარიში არეულ-დარეულიაო; ასე რომ, როდესაც პირველად შემოსავალ-გასავალი ერთმანერთს შევუფარდეთ, მეორემ პირველს გადააჭარბაო. მაგრამ, როდესაც ბუხჰალტერს აუხსნია, რაშიაც იყო საქმე, მაშინ არავითარი შეცდომა აღარ აღმოჩენილა. მეორე მუხლში ნათქვამია: კასის თეთრი დავთარი თავიდან ბოლომდის სავსეა წაშლილ-წამოშლილ და ამოფხეკილ გადასწორებულ ადგილებით, ასე რომ დავთარი დამამტკიცებელ საბუთის ძალას სრულიად ჰკარგავსო. აღმოჩნდა, რომ დავთრის მესამე გვერდზე ყოფილა ერთი უმნიშვნელო შეცდომა—რამდენისამე კაპეიკისა,—რის გამო იგივე შეცდომა—რასაკვირველია—განმეორებულა ყოველ გვერდზე ფულის რაოდენობის გადატანისა და ჯამის შედგენის დროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სარევიზიო კომისია, რომელიც ბოროტ-მოქმედებას ჰხედავს ერთის ციფრის წაშლასა და მის მაგივრად მეორის ჩაწერაში, როგორც ბუხჰალტერმა განაცხადა, თვითონვე შემცდარა და დავთარში ერთი ადგილი სრულიად უბრალოდ წაუშლია.

მოხსენების მესამე მუხლში ისეთივე დანაშაულია ნაჩვენები, როგორიც პირველ ორ მუხლში; სხვათა შორის, კომისია დიდ დანაშაულად სთვლის, რომ „ჩეკის“ ნომრები ერთ ადგილას შეშლილია. საქმე აი, როგორ ყოფილა: მწერალს „ჩეკის“ მე-9 ნომრის შემდეგ გამორჩენია მე-10 ნომრის ჩაწერა და მე-25 ნომრამდის ეს ვერც შეუმჩნევია; ხოლო, როდესაც შეუმჩნევია, №-10 ჩაუწერია № 25-ის შემდეგ. მეოთხე მუხლში ნათქვამია, უმთავრეს დავთარს დაახლოებით ისეთივე ნაკლულევანება აქვს, როგორიც კასის თეთრ დავთარსაო; ხოლო ამ დავთარს რა ნაკლულევანება ჰქონდა, ეს ხომ უკვე ვიცით. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ბ-ნ მარკოვსკის მაინც არ შეეფერებოდა, რომ ასეთ წვრილმანებისთვის დიდი მნიშვნელობა მიეცა და შიგ თითქმის ბოროტ მოქმედებაც დაენახა,—დაუმატა ზდანოვიჩმა.

სხდომა რამდენისამე წამით შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ ბ-ნმა მარკოვსკიმ განაცხადა: „საჭიროდ ვცნობ შევნიშნო ბ-ნ ზდანოვიჩს, რომ მე, როგორც მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი, არც კრების და არც თავმჯდომარის კრიტიკას არ ვექვემდებარები; ამიტომ ვითხოვ განმათავისუფლოთ თქვენის კრიტიკისა და შენიშვნებისაგან; თუ მე რამე უკანონობა ჩამიდენია, შეგიძლიანთ მთავრობასთან მიჩივლოთ“.

ბ. ვ. მასუშვილი: ჩვენ არ გვინდოდა ასეთ საშუალებისათვის მიგვემართნა, მაგრამ, თუ გნებავთ, 200—300 კაცი მოვაწერთ საჩივარს ხელს და კიდეც დავამტკიცებთ თქვენს უკანონო საქციელს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მხედველობაში მივიღებ ბ-ნ მარკოვსკის განცხადებას და, თუმცა ბევრი მქონდა სასაყვედურო, ვეცდები თავი შევიკავო.

შემდეგ ბ-ნი ზდანოვიჩი გადავიდა მოხსენების მეხუთე მუხლზე, სადაც საბჭოს ბრალსა სდებენ, კრების ფული საბჭოს კერძო საჭიროებისათვის დაგიხარჯავთო. საბჭოს უსესხებია მრეწველთა ერთ ამხანაგობის „შავი-ქვა“-სთვის 5070 მან., რომელიც სამის თვის შემდეგ უკანვე მიუღია. ივნისში თვითონ საბჭოს უცბად დასჭირვებია ფული და ამხანაგობისაგან უსესხებია. პირველ შემთხვევას სარევიზიო კომისია უკანონოს უწოდებს, მეორეს კი „მეტი რომ არა ვსთქვათ-ულამაზო საქციელს“.

„აი, სადა ჰმარხია, ბატონებო, ძაღლის თავიო,—ასე დაიწყო ბ-ნმა ზდანოვიჩმა—მაგრამ აქ მე ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგან შემდეგშიაც მექმნება შემთხვევა ამ საგანს შევეხო. საბჭომ მიიღო თხოვნა 200, თუ—კარგად არ მახსოვს—180 შავი-ქვის მრეწველისაგან; თხოულობდნენ სესხად 5070 მანეთს; მრეწველთა 3/4 დაინტერესებული იყო ამ საქმით. საბჭომაც გადასწყვიტა ფულის სესხება. ბ-ნმა ემერიკმა, როგორც გამოცდილმა ვექილმა, ერთი საჭირო კითხვა წამოაყენა, მწარმოებელთაგან რამე გარანტია მოვითხოვოთ, რომ ფული არ დაგვეკარგოსო, და სწორედ ასეც მოვიქეცით: მთხოვნელთაგან ავირჩიეთ 20 უფრო კეთილსაიმედო და შეძლებული კაცი და მათ თამასუქები ჩამოვართვით. რამდენისამე თვის შემდეგ ფული უკანვე დაგვიბრუნეს. ამბობენ, თვით საბჭოს წევრთა კერძო საჭიროება მოითხოვდა ამასო, მაგრამ ეს ტყუილია: საბჭოს წევრთაგან მხოლოდ ერთი კაცი ერია მთხოვნელებში, საბჭოს აქ საიდუმლოდ არაფერი გაუკეთებია, თორემ არც ოქმში შეიტანდა. არ უარვყოფ, იქნება აქ კანონის ფორმალური დარღვევა იყოს, მაგრამ სამაგიეროდ მრეწველთა 3/4 ინტერესი თხოულობდა ამას; მხოლოდ ამ საქციელს რომ „ულამაზო საქციელი“ უწოდოთ, ეს კი არ შეიძლება; ულამაზოდ და ქურდულად საბჭოს არაფერი გაუკეთებია. მე ვეკითხები კრებას, ჰქონია აქ საბჭოს ისეთი ცუდი რამ განზრახვაა რომელსაც შეიძლება „ულამაზო“ უწოდოს კაცმა?

ხმები: „არა, არა ჰქონია“!

გ. ფ. ზდანოვიჩი; მაშ მე ამ „некрасиво“-ს სარგებლით უკანვე ვუბრუნებ სარევიზიო კომისიას. მოხსენების მეექვსე მუხლი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სარევიზიო კომისიასაც ისე უნდა გამოეტოვებინა, როგორც ეხლა მე ვტოვებ. უნდა შევნიშნოთ, რომ რევიზიის დროს კასაში 22 კაპეიკი მეტი აღმოჩენილა.

შემდეგ ბ-ნი ზდანოვიჩი გადავიდა მოხსენების დამატებაზე, სადაც ნათქვამია, აბანოს შესამოწმებლად მოწვეულ ინჟინრებისთვის მიცემული ფული 300 მანეთი მოქცეულია საბჭოს წვრილმან ხარჯებში, და არა აბანოს ხარჯებშიო. ამით კომისიას უთუოდ იმის თქმა ჰსურდა, რომ საბჭოს შეეშინდა აბანოს ყველა ხარჯის გამომჟღავნება და ეს 300 მანეთი იმისთვის გადამალაო.

გ. ფ. ზდანოვიჩი: თუმცა ბ-ნმა მარკოვსკიმ გამაფრთხილა, ჩემს წინააღმდეგ ხმა არ ამოიღოო, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ ეს დამატება იმის საკუთარ ხელითაა ნაწერი. საბჭოს აბანოზე 92,000 მანეთი დაუხარჯავს, ბოლოს შეჰშინებია, დიდად არ მოეჩვენოთ ეს რიცხვიო, და უკანასკნელი 300 მანეთი სხვაგან გადაუმალავს! ეგ რა სათქმელია! ამას რომელი ჭკუათამყოფელი კაცი იზამს!

საზოგადოებამ ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ამის შემდეგ სხდომა შესწყდა და გადაიდო 16 იანვრისათვის.

ლონ-ვალიანი.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. წინაამდეგ ყოველის მოლოდინისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ ვერ შეჰკრიბა დიდი საზოგადოება და თეატრი არ იყო მთლად სავსე. როგორც გადმოგვცეს, შემოსავალი 400 მანეთამდეა მაშინ, როდესაც სავსე თეატრი იძლევა 600 მანეთს.

თეატრში არა სჩანდა ეგრედ წოდებული ინტელიგენცია. არ იყვნენ ისინი, რომლებს თავი მოაქვთ თავის მამულიშვილობით. რა საზოგადოება უნდა იყოს იგი საზოგადოება, რომელსაც იმდენი ძალა არ შესწევს, რომ პატივი სცეს, მცირე დახმარება აღმოუჩინოს უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მუშაკს? ნუ თუ მხოლოდ გლოვა-ტირილით შეგვიძლია გამოუცხადოთ ვისმე ჩვენი თანაგრძნობა და სიმპატია?

როდესაც ძვირფასი ადამიანი გვიკვდება, ჭკუიდან შეშლილ ადამიანების სახეს ვღებულობთ, თმას ვიგლეჯთ, მოვთქვამთ, სამგლოვიარო დეპეშას დეპეშაზე ვგზავნით, ურიცხვ გვირგვინებით ვამკობთ გარდაცვალებულს, „უსაზღვრო“ სიყვარულით აღსავსე სიტყვებს ვამბობთ, მზადა ვართ საფლავში ჩავყვეთ მკვდარს, და გარეშე მაყურებელს ეგონება, რომ აი, აქ სცოდნიათ საზოგადო მოღვაწეების დაფასებაო!

მაგრამ როდესაც იგივე მოღვაწე ცოცხალია, ყოველგვარ საშუალებით სიცოცხლეს ვუმწარებთ და როდესაც იგი გაჭირვებულია, ათასგვარ მიზეზს გამოვნახავთ (აი, მაგ. ისეთს მიზეზს, რომ სხვაგან კარტის სათამაშოთ უნდა წავიდეთ), რომ არ დავეხმაროთ ღირსეულ მოღვაწეს, თუმცა ეს დახმარება დახმარება კი არ არის, არამედ პირდაპირის ვალის გადახდაა!..

საზოგადოებას არ შეუძლია თავი იმართლოს იმით, რომ ცუდი პიესა იყო დადგმული. პიესა აქ სრულებით მოსატანი არ არის! მართალია, პიესა ისეთი უხეირო რამ გამოდგა, რომელზედაც ლაპარაკიც არა ღირს, და რომლის გამო გაკვირვების და საყვედურის მეტს ვერას ვეტყვით დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, მაგრამ ბ. მესხიშვილის სახელის შემწეობით ყოველივე წარმოდგენა საინტერესო უნდა ყოფილიყო.

საინტერესო იქნებოდა იგი ყველგან, სადაც განვითარებულია საზოგადოებრივი გრძნობები.

ბ.

ღამის თავ-შესაფარში

(რეპორტერის შენიშვნები)

ქალაქის მე-2 ღამის თავ-შესაფარში, სხვათა შორის, ქართველებიც იმყოფებიან. ქართველთა უმეტესობა მუშა ხალხია: როცა მუშაობს საკუთარი ბინაცა აქვს, გაუთავდება სამუშაო და მოსძებნის ღამის თავ-შესაფარს. მაგრამ ამათ გარდა რამდენიმე ქართველი კიდევ შემოჰკედლებია ღამის თავ-შესაფარს და მათი მდგომარეობა მეტად საბრალო და უნუგეშოა. ეს ქართველნი არიან თავადი ზაქრია ჯ—რი, თავადი ნიკოლოზ ვ—ლი, აზნაური ივანე ვ—ძე და ერთიც ყმაწვილი კაცი გურული ს. ჭ—ძე, რომლისთვისაც ბუნებას ნიჭი მიუცია მხატვრობისა, მაგრამ საბრალო ცხოვრების პირობები ნებას არ აძლევენ ღვთიური ნიჭი განავითაროს.

თავ. ჯ—რი ჯერ ყმაწვილი კაცია, მაგრამ მუშაობა აღარ შეუძლიან. იმის ცხოვრებაში რაღაც არა ჩვეულებრივი მომხდარა და გამოულევ მწუხარებას იმისთვის სულის სიმშვიდე დაუკარგავს. იგი მუდამ რაღაცას ელტვის, რაღაცას მოელის, მაგრამ მიდის დრო უნაყოფო მოლოდინში და აწმყო მისი აუტანელი სატანჯველია ღამის თავ-შესაფარში. უბედურებაშია აგრეთვე თავ. ნიკოლოზ ვ—ლი, რომელსაც რცხვენიან თავის ჩამომავლობისა და ამიტომ ნიკოლოზ კახიშვილად ეწერება თავ-შესაფარის წიგნებში. იგი თავის წარსულზე სულაც არა ლაპარაკობს. მზად არის ყოველ ნაირი მუშაობა იკისროს, მაგრამ ვერ უშოვნია. როგორც იმისი ამხანაგები ამბობენ, ცხენის რკინის გზაზე მიუღიათ ერთ დროს სამუშაოდ. პირველ ხანებში თურმე საქმე კარგად წასვლია საბრალოს, მაგრამ ბოლოს ამხანაგებს გაუგიათ იმისი ჩამომავლობა და მოსვენება აღარ მიუციათ. დაცინვისათვის ვეღარ გაუძლია და მუშაობისათვის თავი დაუნებებია. ასეა შევიწროვებული საბრალო ვ—ლი.

ივანე ვ—ძე უძლური მოხუცია. ძლივს-და სდგამს ფეხებს სიბერისაგან დაბა, ამ თვის უკანასკნელ წლებს სიცოცხლისას ღამის თავ-შესაფარში ჰლევს. იგი ყმაწვილობაში სამხედრო სამსახურის კაცი ყოფილა. შემდეგ თავის თავ-გადასავალს კი აღა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2042.

რა დაპარაკობს. იგი გორის მაზრის აზნაურიშვილია.

არა სანატრელ მდგომარეობაშია აგრეთვე ახალგაზრდა ს. ჭ—ძე. ამ ყმაწვილს სწავლა ნორმადურ სასწავლებელში მიუღია. შემდეგ საბუხგალტერო კურსები დაუმთავრებია და ბათუმში შესულა სამსახურში. მაგრამ ნიჭს არ მოუსვენებია ყმაწვილი კაცი, მოუსურვებია სამხატვრო სასწავლებელში შესვლა, დაუნებებია თავი სამსახურისათვის და წამოსულა ტფილისში სამხატვრო სკოლაში შესასვლელად. სასწავლებელში მიუღიათ, მაგრამ შიმშილთან ბრძოლა ვეღარ აუტანია და ღამის თავ-შესაფარისათვის მოუტანებია. აი საბრალო ეს მესამე თვეა, თავ-შესაფარში იმყოფება და ვერსაიდან შველას ვერ ედირსა. იმყოფება საწყალი ყმაწვილი კაცი მშიერ-მწყურვალი, მაგრამ მხატვრობის შესწავლაზე აზრს ვერ მოსცილებია. უჭირავს უბრალო კარანდაში და მთელ დღეს ჯხატავს, რაც მოჰხვდება.

სად არის ვინმე ღვთისნიერი ქველ-მოქმედი, რომ ამ ყმაწვილ კაცს მისცეს გზა ან და ზემონახსენებ ტანჯულ ადამიანებს შეუმსუბუქოს მწუხარება! **მ. გ.**

წერილი თელავიდან

მეჯლისი.—ამინდი.—გზაში დაღუპული.—ღორის ჭირი და ყასბები

მადლობა ღმერთს, თელავშიაც უთვილან ისეთნი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება საქველმოქმედო და საკეთილო საქმეს ნივთიერად დახმარება აღმოუჩინოს. თუ ამისთანა საქმეში წინამძღვრობა იკისრა ვინმემ, ყოველთვის კარგი შედეგია ხოლმე. თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეუღლის კნ. ჩოლოყაშვილის გამგეობით კლუბის დარბაზში გაიმართა მეჯლისი (ბალი) 6 იანვარს კლუბისავე სასარგებლოდ. დასახელებული კლუბი იანვრის პირველს ახალ შენობაში გადავიდა, რომელიც ეხლა დაამთავრეს და საუკეთესო შენობად ჩაითვლება მთელ თელავში. სხვათა შორის, კლუბს დარბაზისათვის დათმობილი აქვს შენობის მთელი სიგრძე და ოთახი სცენისათვის, ასე რომ ამას იქით თელავს ექნება ფართო თეატრი. აი, ამ დარბაზში 6 იანვარს დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გაიმართა ევროპიულ-აზიური ცეკვა სამხედრო მუზიკის და ზურნის შემწეობით.

აქამომდე თელავის მაზრაში ისეთი სასიამოვნო ამინდი იდგა, რომ კაცს გაზაფხული ეგონებოდა. ახალმა წელმა ამინდი შესცვალა. იანვრის სამიდან დაიწყო თოვა და თითქმის 5—6 დღე განუწყვეტლივ სთოვდა. დასდო სამ ჩარექამდის. მასთან ძრიელ აცივდა და ყინვებიც დაიჭირა. სწორედ ეხლა მკაცრი ზამთარი დაგვიდგა. იქნება ეს თოვლი იყო მიზეზი იმისა, რომ 5 იანვარს საღამოთი ყვარელში მიმავალი დილიჟანსი გადაბრუნდა, ორი ცხენი მოკვდა და თვით მეეტლე წყალში დაიხრჩო. საღამო ხანი ყოფილიყო, შეზარხოშებულ მეეტლეს ჩასთვლემია და ყურადღება არ მიუქცევია ცხენებისათვის, რომელთაც გზა არეოდათ, პირდაპირ ალაზნის გამოღმა ფშასთან მიეტანათ და შიგ გადაებრუნებინათ.

ღორს მოედო რაღაც სატკივარი, რომელსაც ღორის ჭირს უწოდებენ. ყველამ, ვისაც-კი რამდენიმე სული ებადა, შეშინებულთ არ დაგვეხოცოსო, იაფად გაჰყიდეს. ამისათვის ღორის ფასმა შესამჩნევად დაიწია. აქაურ ყასბებსაც ეს უნდოდათ, ბევრი შეიძინეს და გირვანქას 10 კ. ასაღებენ. მაგრამ ფასს ვინ იტყვის, რომ კაცმა გაბედვით სჭამოს: სახიფათოა, რადგანაც თელავში მიკროსკოპით არა სინჯავენ ხორცს. მართალია, თელავის თვით-მმართველობამ გადასწყვიტა მისი შეძენა, მაგრამ ვინ იცის—სანამ მიგდე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გაძვრება. აქაურებიც იმასაც კმაყოფილნი უნდა იყვნენ, რომ თელავში დახოცილ საქონელს ფერშლის თვალი მაინც ხვდება და ლურჯ ბეჭდით აჭრელებენ ხორცს. თელავის განაპირა ადგილებს რამდენიმე ყასაბნი არამც თუ ფერშალს არ ასინჯვინებენ, არამედ არც-კი იციან, სად არის „ბოინია". ეს ყაჟბატონები თავისუფლად ხოცავენ დუქნის კარსა და თავიანთ ეზოებში და ისე ჰკიდიან, რომ არავითარ სანიტარულ წესს არ იცავენ.

ეხლა, როგორც გადმოგვცეს, მაზრის უფროსს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და სასტიკად აღუკრძალავს მათთვის ასეთი საქციელი.

დაბა-სოფლები

—

ეწერი (იმერეთი). ეწერის საზოგადოებაში არსებობს ორი სასწავლებელი. ერთი—საზოგადო—სოფელ ეწერში და—მეორე კერძოდ—იანეთში. 1901 წელს საზოგადოებამ ეწერში არსებულ სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთების თაობაზედ დაადგინა განაჩენი. გავიდა რამდენიმე თვე და სოფელმა იანეთმა, რომელმაც ეწერის სკოლის გადაკეთების განაჩენზე მოაწერა ხელი, დაადგინა განაჩენი თავის საკუთარ სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ. ეწერის სკოლის განაჩენი დამტკიცდა. შენობის მოპოებისათვის რამდენჯერმე მოხდა ყრილობა. ყრილობაზე იანეთლებმა უარი განაცხადეს ეწერის სკოლის შენობისთვის ხარჯის გაღებაზე. „ჩვენ ჩვენი სკოლა გადავაკეთეთ ორკლასიანად და თქვენ თქვენთვის გაიკეთეთო" ამბობდნენ ისინი. ბოქაულმა ამ საქმის შესახებ შეადგინა ოქმი და წარუდგინა მთავრობას. ვნახოთ, როგორ გადასწყვეტენ ამ საქმეს.

ამას წინად გწერდით: ჩვენ სოფელს თოვლი ეწვია და საშინელი ქარ-ყინვებიაო. ამას კიდევ გაუძლებდით, რომ გზები და ბოგირები იყოს კარგ მდგომარეობაში. წარსულ წელს ადგილობრივმა მამასახლისმა მიიღო გუბერნატორისაგან ოფიციალური მოწერილობა. მოწერილობაში შემდეგი იყო ნათქვამი: „როგორც მომდის საჩივრები სხვა-და-სხვა სოფლებიდან, სასოფლო გზების კეთება მარტო გლეხობას აწევს კისერზე და დანარჩენნი წოდებანი ამ საქმეში არაფერ დახმარებას არ უწევენო. ამიერიდან გზის კეთება გაიცეს იჯარით და მისი გასაკეთებელი ფული გადახდეს როგორც გლეხთ, ისე სხვა წოდებასო. ერთის სიტყვით, ყველა წოდებამ მონაწილეობა მიიღოს გზის გაკეთებაშიო". ამ მოწერილობის შინაარსი მამასახლისმა გამოუცხადა ყრილობაზე საზოგადოებას. მარტო ამით გათავდა საქმე და არავის შემდეგ თავი არ შეუწუხებია გუბერნატორის მოწერილობის სისრულეში მოყვანისათვის. ამას წინად ყრილობაზე საზოგადოებამ სთხოვა ბოქაულს, რომ განკარგულება მოეხდინა და ბ-ნ გუბერნატორის მოწერილობის ძალით დაევალებინა ყველასათვის გზის კეთება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამას შემდეგ საზოგადოება დიდად აღელვებულია და გზის შეკეთებაზე თითქმის უარს ამბობს.

ორიოდე სიტყვა კიდევ იმ დუქნების შესახებ, რომლებიც ეკლესიის მახლობლადაა და რომელთა გადატანა რაღაც მანქანებით არ მოხერხდა. ეხლა სამწუხარო ის არის, რომ ეს დუქნები კვირაუქმე დღეობით ღიაა და წირვა-ლოცვის დროს მახლობელ მცხოვრებლებით არის გატენილი და სმა-ქეიფია გახურებული. სასურველია, დუქნები კვირა-უქმეობით მაინც დაიკეტოს წირვის გამოსვლამდის.

დიხვინაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი.

კონსტანტინეპოლი. 14 იანვარს პორტამ მოსთხოვა რუვიეს პროექტით ვალების მოწესრიგებისათვის დაარსებულს ფრანკთა სინდიკატს, ჩქარა გამოჰგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი მოსალაპარაკებლადაო.

—როგორც ამბობენ, სულთანი სცდილობს საფრანგეთის მთავრობის წინაშე მაჰმუდ-ფაშას გვამი სტამბოლს გადმოიტანოს, რომ იმას საფლავი თაყვანის საცემლად არ გაჰხდეს ოსმალეთის ახალ-თაობისათვის, რომელსაც შეუძლია წამებულადაც გამოაცხადოს მაჰმუდ-ფაშა და თავისის აზრების გასამაგრებლად და გასავრცელებლად იმის საფლავისაკენ სალოცავად სიარულსაც გაჰმართავენო.

ასხაბადი. ანდიჟანში დიდი თოვლი დაწოლილა, ყინვებიც დაუწყია და ეს გარემოება მეტად ცუდად იმოქმედებს მკვიდრთა ჯანმრთელობაზე, რადგან ისინი კარვებსა და ხის ფარდულებში ცხოვრობენ. ბავშვები სიცივისაგან ჰკვდებიან. შეშა ნაკლებადაა. 8 იანვარს გამართული თავ-შესაფარი ივსება. კარგი იქნებოდა, წითელი ჯვრის ხარჯით უფრო მეტი შენობები აეგებულიყო.

— 3-ს დეკემბრის მიწის ძვრისაგან, როგორც კერძო ცნობებიდანა სჩანს, 10 ათასამდე კაცი დაღუპულა. ოფიციალურად-კი დაღუპულთა რიცხვი მხოლოდ 5 ათასია. მკვიდრნი იმდენად ხალისიანად არ აცხადებენ დაღუპულთა რიცხვს. ზარალი მილიონებად აღირიცხება და აღუდგენენ ამას თუ არა—არ იციან. გაჭირვება მეტად დიდია, მთავრობის დახმარება საჭიროა. საზოგადო დუქანი გაიმართა, სადაც უსაჭიროეს ნივთებს იაფად ჰყიდიან. ხე-ტყის მასალა არის, მაგრამ რუსთა საჭიროებისათვის და ამ საქმეს განაგებს „წითელი ჯვრის" ადგილობრივი კომიტეტი. თითქმის ყოველ დღეა მიწის რყევა, განსაკუთრებით საგრძნობელი იყო 7 იანვრის ღამეს. ანდიჟანიდან 90 ვერსტზე უზგენში სახლების კედლები დასკდა; ხალხი გარედ გამოვიდა და კარვებში დაბინავდა.

ოდესა. 15 იანვარს გაიხსნა რუსეთისათვის პირველი გამოფენა ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

ბერლინი. გაზ. „ბორზენ კურიერ"-ის სიტყვით, მას აქეთ, რაც კრონპრინცი პეტერბურგიდან დაბრუნდა, კარგად არ არის; გუჭის ავადმყოფობა აქვს.

პარიზი. კომპოზიტორი პლანკეტი გარდაიცვალა.

კარაკასი. ბუენოს-აირესის ბანკმა ვენეცუელას მთავრობას აღუთქვა ფულებს მოგცემ, რომ სახელმწიფოთა მოთხოვნილება გაისტუმროო. საფრანგეთის ბანკირები ეუბნებიან, ფულს მოგცემთ, თუ სატამოჟნო გადასახადებს დაგვიგირავებთ და სახელმწიფო ვალების კონვერსიას მოახდენთო.

ჰონგკონგი. გუანსიში აჯანყებულთაგან შვიდი კაცი დაიჭირეს; ხელთ იგდეს ბევრი ბაირაღი, საიდუმლო წრიდები და ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ კანტონში არეულობა მზადდება. ვიცე-კოროლი გაუფრთხილებიათ ამ საქმის გამო.

ვაშინგტონი. ინგლისისა, გერმანიისა, იტალიისა და ვენეცუელას წარმომადგენელთ გუშინ კრება ჰქონდათ. გადასაწყვეტი საგანი წამოაყენეს: ისე მიეცეს სახელმწიფოებს ყოველ-თვიური გადასახადი, როგორც თხოულობენ, თუ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყოველ თვე თანასწორადო. ბოუენმა გამოაცხადა: ამას გადაწყვეტა მოკავშირეთ მოვანდოთო. როგორიც უნდა იქმნეს შეთანხმება, ვენეცუელა ამის კმაყოფილი დარჩება.

პეტერბურგი. 15 იანვარს პირველი ბალი იყო საზამთრო სასახლეში.

დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ წამოვიდა.

საფრანგეთის ელჩი მონტებელლო ხელმწიფე-იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა მიიღეს გამოსათხოვრად.

17 იანვარი.

ბერლინი. „ბერლ. კორ." იუწყება: მთავრობამ განმარტა, რომ უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემები პრუსიის ნავთსადგურებში სანავთსადგურო გადასახადებს არ იხდიანო.

სტოკჰოლმი. მეფის ჯან-მრთელობა საშიში არ არის. სიმართლეს მოკლებულია საზღვარგარედ გავრცელებული ხმები მეფის საშიშ ავადმყოფობის შესახებ. პრინცი ევგენი კარგად არის.

პარიზი. მინისტრად ყოფილი რენალი გარდაიცვალა.

მადრიდი. ტანჟერში მყოფ ესპანიის ელჩის კოლოგანის დეპეშით მტკიცდება, რომ ტახტის მაძიებელი მართლა ფეცის ასაღებად მიდის.

ლონდონი. ინგლისმა, გერმანიამ და იტალიამ უარ-ჰყვეს ბოუენის წინადადება. ბოუენი თხოულობდა, რომ ყველა ის სახელმწიფო, რომელიც ვენეცუელას ედავება, ისეთ პირობაში იქმნეს ჩაყენებული, როგორშიაც სამი მოკავშირე სახელმწიფოა. „რეიტერის სააგენტოს" ცნობებით, ბლოკადის შეწყვეტის დრო დამოკიდებულია იმაზე, შეიწყნარებს თუ არა ვენეცუელა სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს. თუ ბოუენი მოისურვებს ყველა მოდავე სახელმწიფოს ერთ პირობაში ჩაყენებას და ამ სურვილის განხორციელებას მოითხოვს, საეჭვოა გემების გაწვევა. ამბობენ, გერმანიის სამხედრო გემები მარაკაიბოს სრუტეში არ შესულან: ეშინოდათ, ასეთმა საქციელმა შეერთებულ შტატების საზოგადოება არ აადელვოსო.

იოჰანესბურგი. „სტანდ."-ი იუწყება, რომ 19 იანვარს დაწესდება თანამდებობა მთავარ-სარდლისა სამხრეთ-აფრიკის ჯარებისა ზამბეზედან კაპამდე. მთავარ-სარდლად ინიშნება გენერალი ლაიტლტონი, რომლის საცხოვრებელ ადგილადაც პრეტორია იქნება. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს: სჩანს, მთავრობის თვალში სამხრეთ-აფრიკა ერთი პროვინციაა.

დრეზდენი „დრეზ. ცაიტ."-მა გამოაქვეყნა შემდეგი განკარგულება; „მეფე თანახმაა, რომ კრონპრინცესს ლუიზას ჩამოერთვას ყველა ის უფლება, რაც ჰქონდა მინიჭებული, როგორც სამეფო გვარეულობის წევრს."

ტანჟერი. „იმპარ."-ი იუწყება, რომ ტახტის მაძიებელი უკან წავიდა, მაგრამ არ იციან, სადაო. სულთანმა სთხოვა ვესსანის შერიფს მულა-დარდის, ეცადოს აჯანყებულნი დაჰმორჩილდნენ სულთანს. მულა-დარდიმ თავის შვილსა და ძმისწულს მიანდო შეამავლობა სულთანსა და ხელქვეით მთავართა შორის. Banque de Paris et des Pays Bas-მა მოაწ[illegible] სულთანის წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებას: სულთანმა უნდა მიიღოს სესხად 7½ მილიონი ფრანკი; უზრუნველ საყოფელად საფრანგეთს მიეცემა სადამოჟნო გადასახადები ტანჟერში. სესხი გააძლიერებს საფრანგეთის გავლენას. მოვიდა სულთანის ბიძა მულა-რაფი; უთუოდ იგი წავა აირსტში, ალჟირის საზღვარზე, და დაამშვიდებს ადგილობრივ ტომთა შორის ატეხილ დავას. საფრანგეთი იმუქრება, ამ დავაში ჩავერევიო.

ორანი. მოვიდა საფრანგეთის ოთხი ნაღმიანი გემი, ორი უკანვე დაბრუნდა.

კოპენჰაგენი. „არსს" გემით მოიტანეს ციმბირის ერბო. როდესაც გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ტვირთის ნახევარი თოვლითა და ქვებით იყო სავსე. ასეთივე ამბავი მოხდა წარსულ კვირას. აქაურმა ერბოს ვაჭრებმა გადასწყვიტეს მიჰმართონ საერთო თხოვნით რუსეთის მთავრობას.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია განმარტება ზოლოტოვის სიკვდილის შესახებ ტიხორეცკის სადგურზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

—

ფოთის საქალაქო გამგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ 1903 წლის 22 თებერვალს, შაბათს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში, მოხდება საბოლოო ზეპირი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება დაწერილ და კონვერტში დაბეჭდილ განცხადების წარმოდგენაც) ქალაქის თორმეტ დაგეგმულ მიწის ნაჭრის გასასყიდათ; ეს მიწის ნაჭრები მდებარეობენ ლევაშოვის ნაპირ-რეჟნაიაზე CXXXII უბანში №№ 1164, 1165, 1166, 1167, 1168, 1169, 1170, 1171, 1172, 1173, 1174 და 1175, ყოველი ნაჭერი ზომით 109-დან 196 ოთხკუთხი საჟენამდე. ეს ადგილები ეთმობა მსურველთ იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში უეჭველ უნდა გააშენონ ქვის შენობები და დახურონ ისინი ისეთის სახურავებით, რომელთაც ცეცხლი არ ეკიდება. თუ ეს პირობა არ იქნება შესრულებული, ადგილი მყიდველს ჩამოერთმევა გამგეობის მიერ და ჩაითვლება ქალაქის საკუთრებად; მყიდველი-კი დაჰკარგავს შენობის აგების ნებასაც და ადგილში გადახდილ ფასსაც. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შეიტანოს ბე—ადგილის ფასის ოცი პროცენტი; დანარჩენი უნდა შეიტანოს ვაჭრობის დღიდან ერთის თვის განმავლობაში. როდესაც ადგილის მთელი ფასი იქნება გადახდილი, მყიდველს მიეცემა დროებითი მოწმობა იმისა, რომ უფლება შეიძინა სახლი ააგოს ნაყიდ ადგილში. ხოლო როდესაც მყიდველი აასრულებს სავალდებულო პირობას, მას მიეცემა დაწესებუ ნასყიდობის საბუთი, რომ ადგილი სრუ მის საკუთრებას შეადგენს. ვაჭრობა დ წყება ფასიდან—ორი მანეთი თითო ო კუთხი საჟენში. (ნ. 3—1

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქ თველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალ ნდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლ. კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფოსტით გაიწეროთ: Т лисъ, Грузинское Издательское Т—во, ლ რისმელიქოვის ქუჩა.

ცინკოგრაფი

წიგნის გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 374.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

„ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების" მაღაზიაში და ა. როინაშვილის ფოტოგრაფიაში იყიდება

წმ. ნინოს

ახალი სურათი. ფასი 40 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).